წერილის ნომერი: **18-01223461265**
თარიღი: **12/12/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01223403622 (AR1919785)
წერილის თარიღი:	06 დეკემბერი, 2022
განმცხადებელი:	ვლადიმერ აბრამიშვილი
მისამართი	ქ. თბილისი, ქუჩა კუმისი #19
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.16.06.057.058
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს ,,კუმისი რეზიდენსი“
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	განცხადების უფლებამოსილი ორგანოსთვის გაგზავნა
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	საექსპერტო დასკვნა ტოპო.გეგმა მწვანე ნარგავ(ებ)ის დატანით ფოტოსურათები გამწვანების პროექტი
დასკვნა: საინფორმაციო	

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის პირველი და მე-3 ნაწილები; საქართველოს კანონის „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ მე-6 და მე-7 მუხლები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის დადგენილებით N11-58 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ მე-3 მუხლი; მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტი, მე-13; 22-ე, 30-ე მუხლები, 29-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

სამსახურის პოზიცია:

მოგახსენებთ, რომ მწვანე ნარგავ(ებ)ის სავარაუდო დაზიანების/განადგურების ფაქტთან დაკავშირებით მასალები შესასწავლად გადაგზავნილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში. საკითხზე ადმინისტრაციული წარმოების დასრულებამდე, სამსახური ვერ იმსჯელებს მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით.

ამასთან გაცნობებთ, რომ დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს ტოპო. გეგმა საპროექტო შენობის გახთავსების სქემით, მწვანე ნარგავების დატანით ნუმერაციის მიხედვით, საპროექტო

შენობასა და მწვანე ნარგავებს შორის 3 მეტრიანი მანძილების აღნიშვნით.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

გამოყენებულია
კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)